სახალხო გაზეთი

№ 625 პარასკევი, 15 ივნისი, 1912 წ. № 625

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ხოლო ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართ-ული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . 40 კაპ. შეიძლება
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზევე ღირს . მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . . უფასოდ.
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიათ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეხალი.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად 1 წ. „ბრძოლ“-ს.

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

თვეში ღირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ახალი კლუბი

შაბათს, 16 ივნისს, საზაფხულო თეატრში გაიმართება

კონცერტი

ცნობილ ნიურენბერგელ ქალის

სოფიო ვ. რაბუს-ტარუმიანცისა,

და **სიმფონიური ორკესტრი ს. ი. პრესმანის** ხელმძღვანელობით. შესრულებული იქნება: კონცერტი ფორტეპიანოსთვის C-moll ბეთჰოვენისა და Capriccio, მენდელსონისა ორკესტრის აკომპანიმენტით; უვერტიურა „ეგმონტ“, ბეთჰოვენისა, 1-ი მელოდია სვენდსენისა და ანტრაქტი სიუიტიდან მასკენესი. **დასაწყ. საღ. 9 ს.** შესავ. ფას. 1 მ. 50 კ.-დან 25 კ.-დე. კლუბში შესავ. ფას. მამაკაცთათვის 50 კ., ქალ. და მოწაფ. 25 კ. (3.1306.)

ზუბალაშვილების სახალხო სახლში

ქართულ სახალხო წარმოდგენების წრის

წლიური საზოგადო კრება

მოხდება პარასკევს, 15 ივნისს, 1912 წ. საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში. განსახილველი საგნები: 1) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 2) ხარჯთ-აღრიცხვა და 3) გამგეობის წევრთა და სარევიზიო კომისიის არჩევანი. კრება შესდგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3.1331.3)

ტფილისის კერძო სამკურნალო.

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სამშობიარო ქალთა ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშოსშიდა-რო, ქალ. სნეულებ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავადმყ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.41)

ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ქუთაისში

ყოველთვის გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ქაშანურის (ქაშან) ჭურჭელი, საუცხოვო ბროლისა და მინის საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალპაკები და სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები, კეროსინკები და ყოველგვარი სოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი, ვენურის, მოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველგვარი საუკეთესო შკაფები, ინგლისისა და ვენის კრაოტები, დოშაკები, კედლისა საპირფარეშო სარკეები, მაგიდის კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი. საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, ყოველ ნაირი სიმები, პატე-გრამაფონები და გრამოფონები და მათი ფირფიტები, პიანინო-როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები და მათი მოწყობილებანი. ორთქლ-მრეცხავები (პარომოიკი) ახალის სისტემისა და საკლესიო მოწყობილება. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთაის. და ბათომის გუბერნიისა გვაქს წარმომადგენლობა: **საწერ. მანქანა „ტორპედოსი“.** ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ.1236 25)

ქუთაისში

ამ დღეებში ქ. გორში გამოვა ყოველდღიური სალიტერატურო, სამეურნეო, სავაჭრო, სასოფლო გაზეთი

ქართლი

გაზეთი ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით ეღირება წელიწადში 5 მან., უდამატებოდ 4 მ., თვიურად 11 შაური, **ცალკე ნომერი 3 კაპ.** რედაქტორ-გამომცემელი **ია ეკალაძე-ცინცაძე.** ფული და დასაბეჭდი წერილები უნდა გამოიგზავნოს **ი. ცინცაძის** სახელზე. (5.1333.2)

დაარსებულია 1904 წ.

სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი

მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

ექიმ ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

პატარა ცემი

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. ვ. ღამბაშიძეს, ქ. ტფილისს.

მიიღება დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭაობის ციებით დაავადმყოფებულნი.

არ მიიღება სიპლექით დაავადმყოფებულნი, (25.1291.20)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწ. აღაპები ფასი	1—50 კ.
ბატონიშვილი დავით. მასალები საქართ. ისტორიისთვის	1—
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე ქართვ. ტომის დასაწყისზე	15 „
საქართველოს ისტორია I უძველეს დროდან მე-X ს. დასასრ.	1—
პროფ. პატკანოვი და ქართ. ისტორიის წყაროები . .	20 „
ქართველი ქალები	10 „
პონტის მეფე მიტრიდატ დიდი	10 „
ბროსსე. საქართ. ისტორ. ნაწ. I,	70 „
„ „ „ „ II,	70 „
ბარათაშვილი. საქართ. ისტ. I	30 „
„ „ რვ. II,	30 „
ე. კ. წმ. დავით III აღმაშენებელი მეფე ქართველთა	5 „
ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია .	2—
იმერეთის ისტორია . . .	30 „
თამარაშვილი მიხ. მღვ. ისტორია კათოლიკ. ქართ. შორის	2—
თაყაიშვილი ე. ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ ნაწ. ქართლის მოქცევისა	40 „
არხეოლოგ. მოგზ. და შენიშ.	1—
სამი ისტორიული ქრონიკა	1—
იმერეთის მეფე სოლომონ დიდი	10 „
იზაშვილი პ., ქართ. კათოლიკ.	10 „
ქართველ კათოლიკეთა შესახებ	10 „
იოსელიანი გ. ქართ. წმიდანები	40 „
იოსელიანი პლ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართ. ველოს რუსეთთან შეერთება	1—
ისარლ. ლ. ქართ. კათოლ. საქარ.	10 „
კალისტრატე მღვ. მონოს. ხოპის მონასტერი	10 „
კარიჭაშვილი დ. წიგნის ისტ.	20 „
საქართველოს მე-XII საუკ. .	40 „
სიმონ მეფე	10 „
საქართველ. მოკლე ისტორია	40 „
როსტომ მეფე	10 „
თამარ მეფე	15 „
ძველი ანჩისხატის ტაძარი .	30 „
იერარქია საქარ. ეკლესიისა: კათოლიკ. და მღვდ.-მთავარნი	1—

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред. груз. насел. (წ. 1141.64)

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 20 ივნისს, ნაშუადღევს 1 საათზე, მის საკრებულოში, დანიშნულია (ვაჭრობის გადაუდებლად)

საჯარო ვაჭრობა.

პირადის განცხადებით და დაბეჭდილ პაკეტების წარდგენით, სავაჟო გიმნაზიის საგიმნასტო დარბაზისა ორ საკლასო ოთახის აგებისა და აგრეთვე ამავ გიმნაზიის ეზოს გარშემო 173 საჟ. რკინა-ბეტონის გალავნის შემოვლების **იჯარით გასაცემად.** საჯარო ვაჭრობა დაიწყება 18,000 მანეთიდან. ამისათვის, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, ამ თანხის 10% ნაღდად უნდა წარმოადგინოს ან მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ ქაღალდებით. პირობებისა, პროექტისა და სმეტის განხილვა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ საქმის დღეს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე. (1.1335.1)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, **№ 3, ს. გაბაშვილისა.** (უ)

ექიმი კბილისა ავასთუმანში ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—2)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდ. (25—1178—54)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., **№ 67,** სახლი სვანიშვილისა.

ქუთაისი

ქუთაისში რკინეულობის სავაჭრო

სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252.15) პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი.**

ქუთაისი

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 315)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოსპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“.

(წლ—1018—287).

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგ. დოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 186)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—37)

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და აწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—180).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—109)

ექიმი ივ. გომართელი მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.15)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.124).

ექიმი კბილისა ნინო რუხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამას წინად სახელმ. სათათბირომ მოიწონა საკანონმდებლო ზომა კავკასიისაგან შავი ზღვის გუბ. გამოყოფის შესახებ. ამ ამბავს მაშინვე ცაზე აუფრენია „ნოვოე ვრემიას“ „ცნობილი“ კავკასიელი კორესპონდენტი ზატერიანი, რომელიც დრო და დრო არ გვაკლებს ხოლმე თავის მოწყალე ყურადღებას ჩვენი ქირ-ვარამის „შესაფერად“ აღნუსხვით. აი ახლაც ეს, მართლაც თავგზა დაბნეული, ჩვენი „მოამაგე“ ასეთი „კეთილ-გონიერი“ წინადადებით მიმართავს მთავრობას:

„უწინარეს ყოვლისა შავიზღვის გუბერნიას უნდა მიემატოს მის ახლო მდებარე სოხუმის ოლქი, რომელიც ბუნებრივი გაგრძელებაა შავიზღვის გუბერნიისა. როდესაც გუბერნიას სოხუმის ოლქს შეუერთებთ, მივიღებთ მართლაც ერთს მთლიან მხარეს“.

კორესპონდენტის აზრით ეს უეჭველად ასე უნდა მოხდეს, რადგან „სოხუმის ოლქის მკვიდრნი—აფხაზები ძლიერ განირჩევიან კავკასიის დანარჩენ წვრილ ხალხთაგან მით, რომ რუსეთს და ყოველსავე რუსულს სიმპატიით ეკიდებიან. ახლანდელს შავიზღვის გუბერნიასა და სოხუმის ოლქში ბევრი, ძლიერ ბევრი თავისუფალი სახელმწიფო მიწაა, სადაც შეიძლება რუსის ხალხის დასახლება...

კავკასიის უმაღლესი მთავრობის ოპეკუნობისაგან განთავისუფლებული შავი ზღვის გუბერნია, რასაკვირველია, ფართოდ გაუღებს კარს რუსის მშრომელ-გლეხობას და, ბერძენ-სომეხთა და იმერელ-მეგრელთა მაგიერ, რუსულ კოლონიზაციას მიჰყოფს ხელს“...

„ბევრჯერ მითქვამსო, — განაგრძობს იგი—რომ შავიზღვის გუბერნიაში საზოგადო რუსული რეფორმების შემოღება არა თუ სასურველია, საჭიროა კიდეც, რადგან იგი სრულიადაც არ არის „კავკასიის ტიპიური გუბერნია“, როგორც ამას ამტკიცებდნენ სათათბიროში კავკასიელი დეპუტატები, არამედ ნამდვილი რუსული გუბერნია, რომელსაც არავითარი მზგავსება არ აქვს ამიერ-კავკასიის დანარჩენ გუბერნიებსა და ოლქებთან. სოხუმის ოლქი, რომელსაც დღეს კავკასიის ძლიერი სუნი უდის იმის მიზეზით, რომ მეზობელ ქუთაისის გუბერნიიდან მასში შედის არა სასურველი კავკასიის სპეციფიური ელემენტების ტალღა, ძლიერ ჩქარა განთავისუფლდება კავკასიურ თვისებათა-

გან, რადგან, ვიმეორებ, აფხაზებს საერთო არა აქვთ-რა იმ ქართველ „თვით-გამორკვევლებთან“, რომლებიც აბეზარის ჟინიანობით ეტმასნებიან მათ“.

და აი, როდესაც სოხუმის ოლქში სრულიად, ძირიან-ფესვიანად ამოიფხვრება ამ „თვით გამორკვევის“ შემტან ქართველთა ელემენტი, მაშინ დადგება შავიზღვის გუბერნიისათვის დღე „ჭეშმარიტი ეკონომიური აღორძინებისა და სახელმწიფოებრივი ზრდისა“.

სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

თავმჯდომარეობს აკიმოვი.

მთავრობის ლოჟაში სხედან შინაგან საქმეთა, სახალხო განათლებისა და გზათა მინისტრები, ობერ-პროკურორი და მიწათ მოქმედების მთავარ-გამგეობის უფროსი. გარეშე ხალხის ადგილს ზის ევლოღი არქიეპისკოპოსი.

განაგრძობენ საზოგადო კამათს ხოლმის კანონპროექტის თაობაზე: **შინაგან საქმეთა მინისტრი** დიდ ხანს ლაპარაკობს და, რასაკვირველია, მომხრეა კანონპროექტისა. ხოლმშჩინის გამოყოფის კანონპროექტმა ძალიან აღელვა ზოგიერთი და განსაკუთრებით პოლონელი შოვინისტები, რომელნიც პოლონეთის სამეფოს აღდგენასა ჰფიქრობენო. იმედია, საბჭო მიიღებს კანოპროექტსაო.

ზინოვიევი მე-2 აღნიშნავს, კანონპროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი კი საჩქაროდ შეუხანხლიათ, საჭიროა დამუშავება, კომისიაში მაინცაო.

ანდრეევსკი რუსის ნაციონალისტების სახელით მოითხოვს კანონპროექტის მიღებასა.

ხრუანოვსკი აღნიშნავს, კანონპროექტი ეწინააღმდეგება 1905 წლის 17 აპრილისა და 17 ოქტომბრის მანიფესტებსაო. მას ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვებაო. ორატორი წინადადებას იძლევა, კანოპპროექტი უარვყოთო.

ცოტა ხანს სხდომა შესწყვიტეს. სხდომის განახლებისას **ოლსუფიევი** ამბობს, ჩვენ პრინციპით არა ვართ წინააღმდეგნი კანონპროექტისა, მაგრამ წინააღმდეგნი ვართ ვარშავისათვის ხოლმის დაშორებისაო. მოლაპარაკე მოითხოვს, უფრო დაწვრილებით განსახილველად კომისიას დაუბრუნოთ კანონპროექტიო.

ტაგანცევიც კანონპროექტის კომისიისათვის გადაცემას მოითხოვს:

კომისიისათვის გადაცემის მომხრეა **ობოლენსკი მე-2-ცა.**

საბჭომ 76 ხმით 62 წინააღმდეგ უარჰყო ტაგანცევის წინადადება კანონპროექტის კომისიისათვის გადაცემისა.

შემდეგ ილაპარაკა **სტიშინსკიმ,** რომელიც წინააღმდეგი იყო კანონპროექტის დაყოვნებისა.

საღამოს სხდომა.

სუხოტინის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცეს ასი წლის წინად შემოსულ მტრებთან მებრძოლთა ხსოვნას.

ყველანი ფეხზე ადგნენ.

სტიშინსკიმ დილას დაწყებული სიტყვა დაათავა. თუ თქვენ ხოლმის გამთმყოფელ კანონპროექტს უარჰყოფთ, რუსეთის საზოგადოებას ძალიან აალელვებთ, რადგან პოლონელებზე არა ნაკლებ ეინტერესება ეს საკითხიო.

პოტოვცკიმ დაწვრილებით გაარჩია ხოლმის გამოყოფის საკითხი. აღნიშნა, საკითხი რუსის სამღვდელოებამ გაამწვავა ხელოვნურად, ისე მიზეზი არა ყოფილა რამო.

დეკანოზი ბუტკევიჩი. თვითონ ხოლმელი, აღნიშნავს იმ დაჩაგვრას, რომელსაც ვითომ განიცდიან პოლონელებისგან რუსები და მოითხოვს კანონპროექტის უეჭველად მიღებას.

მეიშტოვიჩი წინააღმდეგია კანონპროექტისა.

შემდეგი სხდომა 14 ივნისს მოხდა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქალაქის სარევიზიო კომისიის მდივნის** ადგილზე ჯერ კიდევ არავინ დაუნიშნავთ. სარევიზიო კომისიაში ამ ადგილის მისაღებად 15 თხოვნა არის შეტანილი. მდივნის ამორჩევა დანიშნული იყო 13 ივნისისათვის, მაგრამ სარევიზიო კომისია ვერავითარს გარკვეულს აზრს ვერ დაადგა და საკითხის გადაწყვეტა შემდეგის კრებისათვის გადასდო. სერიოზულ კანდიდატებად ხუთი კაცი ითვლება: ა. ი. ნიკიტინი, სტაროსელსკი, ვ. ბ. ელიავა და სხვანი.

◆ **სატყეო საქმე.** ტფილისში ჩამოვიდა ნოვოალექსანდრიის სამეურნეო სატყეო ინსტიტუტის ასისენტი ს. ზ. ქურდიანი, რომელიც ამ დღეებში ინსტიტუტის დავალებით კახეთს მიემგზავრება სატყეო საქმის შესასწავლად.

◆ **უეცრივ გარდაიცვალა** თავის ბინაზე (ბათომის ქუჩა, № 12) ტფილისის რკინის გზის სადგურის კასირი დარია ვასილის ასული კანაევისა. გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

◆ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** 3 ივნისს, თამარ-სოფელში (ხევსურეთი) აკურთხებს წმ. თამარ მეფის სახელობის სამლოცველოს.

◆ **ეპისკოპოსი პიმენი** დღეს ბაქოს მიემგზავრება.

◆ **ტფილისის უნივერსიტეტის** საკითხის გადაწყვეტა მინისტრთა საბჭოს სხვა დროისთვის გადაუდვია.

◆ **პანაშვიდი.** კვირას, 17 ივნისს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ დავით სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად. მწირველი იქნება გორის ეპისკოპოსი ანტონი არქიმანდრიტების პიროსისა და ნაზარის თანამწირველობით.

◆ **სასანიტარო კომისიამ** 11 ივნისს ქალაქის მეხუთე უბანში სახაიები და საკანფეტო ქარხნები დაათვალიერა. კომისიამ ბევრგან აღმოაჩინა უსუფთაობა და შესაფერი ოქმები შეადგინა. აღმოაჩინა ისეთი სახაიები და საკანფეტო ქარხნები, რომელიც ქალაქის გამგეობის ნებადაურთველად გაუხსნიათ.

◆ **გურიის ნავთის** დასამუშავებლად ინგლისში შემდგარა სააქციონერო საზოგადოება „შეიდელფრენცელ და ამხ.“, რომელსაც ძირითად თანხად სამ მილიონ ნახევარი მანეთი ჰქონია. ამ თანხის ათი პროცენტი საზოგადოების წევრთ უკვე გაუღიათ და ამ ფულით მოკლე ხანში წინასწარ მუშაობას შეუდგებიან.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობის წევრებმა და საბჭოს ხმოსნებმა ქალაქის ახალი საყასბო დაათვალიერეს.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო წიგნი „დარვინიზმი“ ე. ფერიერისა. ქართული თარგმანი ეკუთვნის ი. ფანცხავას. წიგნი 148 გვერდს შეიცავს და ხუთ შაურად ჰღირს.

◆ 13 ივნისს, დილის 7 ნახ. საათზე, სოლოლაკის ქუჩაზე, იქ, სადაც ამ ჟამად პირველ საურთიერთო კრედიტის ბანკი შენობას აგებს, უბედურება მოხდა: სახლის მესამე სართულზე მუშაობდა შორაპნის მაზრის სოფელ ომაშუკეთის მცხოვრები ილია ალექსის ძე ციკარაშვილი, რომელიც მესამე სართულიდან ძირს ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა. მისი გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდს ქალაქებში საგანგებო წესები გამოცემული, რომელიც სახლის ამგებთ მოვალედ ჰხდის, მიიღოს ზომები (ფიცრები კარგად დაალაგოს და სხვა) ასეთ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად. კარგი იქნება ამგვარი სავალდებულო დადგენილებანი ტფილისშიაც გამოსცენ.

◆ **დუელი.** გუშინ, დილის 6 საათზე, ქალაქ გარედ, საქართველოს სამხედრო გზაზე, დუელი მოხდა „ზაკავკაზიეს“-ს რედაქტორ ი. დ. რადიკესა და თავ. ლევან მაღალაშვილის შორის. მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს ესროლეს დამბაჩები 25 ნაბიჯზე. ორივე უვნებელი დარჩა. დუელის მიზეზი იყო შემდეგი: „ზაკავკაზიე“-ში დაბეჭდილი იყო პატარა ფელეტონი უკანასკნელ სათავადაზნაურო არჩევნების გამო. ამ წერილის შინაარსით თავ. მაღალაშვილმა თავი შეურაცყოფილად იცნო და რედაქტორს მოსთხოვა წერილის ავტორის ვინაობის გამომჟღავნება, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ თავ. მაღალაშვილმა რედაქტორი რადიკე დუელში გაიწვია.

◆ **სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი** ი. კ. ვასილიევი ტფილისში ჩამოვიდა.

◆ თორმეტ ივნისს გრიბოედოვის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი მდედრობითი სქესისა, დაახლოვებით ორის თვის. ბავშვი ოლღას სახელობის ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

◆ ცამეტ ივნისს ტფილისში 48 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ ცამეტ ივნისს, შუაღამისას, ჩხუბის დროს ავლაბრის ხიდთან ავეტიკ სარქისოვმა დანით მძიმედ დაჭრა ვაგარშაკ ოვანესიანცი.

სასამართლო

◆ **ტფ. სამოსამართლო პალატის** ბრალმდებელი ა. ნ. სილინი ორის თვით საზღვარ-გარედ წავიდა დასასვენებლად.

◆ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია** 13 ივნისს ტფილისიდან გავიდა. სესია მოივლის განჯას, პეტროვსკს, კავკავს და ბაქოს.

იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო

ბაქო. კვირას, 10 ივნისს, იაკობ გოგებაშვილის დაკრძალვის დღეს, აქაურ საკათედრო ტაძარში, წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების მეთაურობით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის სულის მოსახსენებლად. დაესწრო განყოფილების მთელი გამგეობა და აქაური ქართველობა, აგრეთვე მაჰმადიანთა წარმომადგენელი, პირველ სათათბიროს წევრი, ბ-ნი მარდან-ბეკ თოფჩიბაშევი. მლოცველი იყო სამი მღვდელი: ორი ქართველი—ლიაძე და ხუნდაძე—და ერთი რუსი. გალობდა ამ ტაძრის ხორო. პანაშვიდის წინ სიტყვა წარმოსთქვა მამა ხუნდაძემ, ხოლო შემდეგ—განყოფილების გამგეობის წევრმა მ. ნასიძემ.

სოფ. საკირე (ახალციხის მაზრა) იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად გადავიხადეთ პანაშვიდი ხალხისა და ამავე სოფლის სკოლის პატარა მოწაფეების თანადასწრებით. მღვდელმა გიორგი ჯამასპოვმა სიტყვა წარმოსთქვა.

ქ. გორი. კვირას, 10 ივნისს, „ყველა წმიდის“ ეკლესიაში სომხის საზოგადოებამ პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულ პედაგოგის—იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ქართულად მასწავლ. გრიგორი იასეს ძე ბაბალიანცმა, სხვათა შორის, მოლაპარაკემ აღნიშნა ის გარემოებაც, რომ განსვენებულ მუშაკის სახელმძღვანელოები—„დედა ენა“ და „ბუნების კარი“ სათაყვანებელი იყო და არის არა მარტო ქართველთა შვილებისთვის, არამედ ეს წიგნები იზრდის სომხის ბავშვებსაც იმდენად, რომ ისინი თავის თავად სწავლობენ ქართულ წერა-კითხვასაო.

პანაშვიდს ბლომად დაესწრო საზოგადოება—როგორც სომხისა, ისე ქართველი.

თეკლათის დედათა მონასტრის ეკლესიაში 10 ამ თვეს მონაზონებისა და მასწავლებელ-მოსწავლეთა თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად.

სოფ. ხიდისთავი. (გორის მაზრა). 10 თიბათვეს აქ გადახდილ იქმნა პანაშვიდი იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად, პანაშვიდს ბლომად ხალხი დაესწრო. სიტყვა სთქვა ბ-ნმა გერმანოვმა.

მუხიანის რაიონი. გადავიხადეთ პანაშვიდი იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. გოგებაშვილის ფონდისთვის ფულს ვაგროვებთ და მის სახელობაზე ს. საყულიაში ბიბლიოთეკას ვაარსებთ. იმედი გვაქვს რაიონის მასწავლებლები ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს ფონდისთვის ფულის შეგროვებას და წამოადგენენ მუხიანის ბიბლიოთეკის ხაზინადართან, რაც დაუყონებლივ გაეგზავნება ქ. შ. წ. საზოგადოების გამგეობას. 1 ივლისიდან მუხიანის ბიბლიოთეკაში გაიყიდება ი. გოგებაშვილის ყველა წიგნები, რომლის შემოსავლის ნაწილი ფონდისთვის გადიდება.

სოფ. ხოვლიედან (გორის მაზრა) მღვდ. ლონგინოზ კავსაძისაგან.

სამძიმრის დეპეშები

ბერლინი. ჰეიდელბერგში მყოფ ქართველთაგან.

ჟენევა. ჟენევაში მყოფ ქართველებისაგან.

დორპატი. ქართველთა სათვისტომოსაგან.

დაბა ჩხარი. ყველა მოწაფეების და მრავალი ხალხის თანდასწრებით გადავიხადეთ წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ **სამძიმრის დეპეშებს** შეცდომით აწერია „სამგლოვიარო წერილები“.

სამშაბათის ნომერში სამძიმრის დეპეშებში შეცდომითაა დაბეჭდილი **ლუხიანი,** უნდა იყოს—**მუხიანი.**

ფონდი.

იაკობ გოგებაშვილის

მივიღეთ ს. დოესში შეგროვილი 11 მ. ტფ. ქართვ. მუშ. შორ. შეგრ. ჩომახიძის მიერ 10 მ., სამტრედიის წერა-კითხვ. საზ. განყოფ. 15 მ. დღევანდლამდე იყო 269 მ. 21 კ. სულ არის **305 მ. 21 კ.**

სია

შემომწირველთა თავიანთი წვლილისა იაკობ გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად. გორის მაზრის ს. დოესის საზოგადოებისაგან, მარიამ ერისთავისა 3 მან. მელანიასაგან 50 კ., ილია ჯაიანისაგან 1 მან. ანასტასია ჯაიანისა 1 მ. ბარბარე ინ[illegible] 1 მან. მაქრო თაბუაშვილი 50 კაპ., დოესის სკოლ[illegible] 1 მ. [illegible] გაცხოვრებაძისაგან 1 მან. ეკატერინა თვალიევისაგან 50 კაპ., სოფიო ჰანტურიასაგან 50 კაპ., კნ. ელენე ციციანოვისაგან 1 მან. მღვ. ალექსი ელისაბედაშვილისაგან 1 მან.

ჩვენ ტფილისის ქართველ მუშების ახალმა ნაწილმა ჩვენს თანაგრძობ მუშებში შევაგროვეთ 23 მან. 80 კ. ნაცვლად გვირგვინისა ვსწირავთ შემდეგ დაწესებულებას: 10 მანეთს განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის ფონდს, 8 მან. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას, 5 მ. 80 კაპ. ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასადილოს, აქ მოგვყავს შემომწირველთა სია:

ბესარიონ აბზიანიძე 1 მ. იოსებ ანდ. მერკვილაძე 1 მ. ვიქტორ შალამბერიძე 1 მ. დიმიტრი ხელაძე 30 კ. ლადო ხელაძე 1 მ. აროსტინიძე ვარდენ 50 კ. ბოჭორიშვილი 30 კაპ. ბორნივ კოტე 50 კ. არჩილ დოლაბერიძე 50 კ. სერაპიონ ფანცხავა 50 კ. ნიკიფორე კობრეიძე 50 კ. გიო ქიქინაძე 50 კ. იორდანე დურგალი 40 კ. პარმენ ყიფიანი 50 კ. ვანიჩკა შვარცაბაია 40 კ. ერმილე შავგულიძე 40 კ. ვასილ შენგელიშვილი 50 კ. ვანო შარვაზია 40 კ. გიორგი დადაშვილი 20 კ. ტარასიხოვი 20 კ. ვანო მეგრელიშვილი 20 კ. ანდრო იორდანიშვილი 50 კ. მაქრო კურდღელაშვილი 50 კ. მიხაკო ნატროშვილი 60 კ. ვანო დეშურიშვილი 1 მ. არტემ სარაჯიშვილი 15 კ. გაბო ზეზიაშვილი 25 კ. არჩილ 20 კ. სერგო რამიშვილი 50 კ. გიორგი ცაგარეიშვილი 50 კ. იოსებ ჩიტაია 50 კ. მიშა კვტივაძე 20 კაპ. სევერიან ბურჯულია 50 კ. ანდრო ბიბინაშვილი 10 კ. აკაკი მერღვლია 30 კაპ. სანდრო გვრიტიშვილი 20 კ. ლეკიშვილი 10 კ. კოსტა ისკანდაროვი 30 კ. პლატონ სიხარულიძე 10 კაპ. დათიკო ლეკიშვილი 20 კ. მიხო ლომთაძე 10 კ. ვასო ხუნწკარია 50 კაპ. კონსტანტინე ყიფიანი 40 კ. ტარასი ფოხაძე 50 კ. კოლა ღომცვრია 50 კ. მეფარიშვილი 20 კ. გედევან მაღლაძე 50 კ. არშაკ მანცაგან 10 კ. პეტრე წეველია 20 კ. ნატროშვილი 50 კ. დათა გედაშვილი 50 კ. გიორგი კეკელიშვილი 10 კაპ. გიორგი სუკაკაშვილი 50 კაპ. ბესარიონ დოლიძე 50 კ. დათიკო იოსელიანი 20 კ. არჩილ ლექვინაძე 30 კ. გოგოლაძე 20 კ. ერასტი გ. ჩომახიძე 50 კ.

სულ 23 მან. 80 კაპ.

ამ ფულების შემომწირველთა ჩვენს ამხანაგ მუშებს მადლობას ვწირავთ.

ვიქტორ შალამბერიძე, იოსებ მერკვილაძე, ერასტი ჩომახიძე.

ჩვენ დაუვიწყარ სახელოვან მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის

ალბანეთი

(დასასრული *)

თავის არსებობის რა მხარესაც არ შეეხენ ალბანელები, ყოველგან მათ წინააღმდეგობა დაუხვდათ, ეს წინააღმდეგობა კი მათთვის თან და თან არკვევდა ბუნებრივ აუცილებლობის ძალით, რომ თუ არ საკუთარ პოლიტიკურ უფლებათა მოპოება, თუ არ საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმიანობა, ისე შეუძლებელი იყო თავის დაცვა და წესიერი განვითარება. უთვალავი წრე ალბანელთა მუდმივ მუშაობდა ეროვნულ აღორძინებისათვის და ამით ამზადებდა ალბანელ ერს პოლიტიკურ შეგნებისათვის. წრეთა მიერ მომზადებულმა ნიადაგმა 1904 წელს წარმოშვა ალბანელთა ეროვნული კონგრესი, რომელმაც სხვათა შორის დაადგინა: ალბანელთა ეროვნული კონგრესი აცხადებს, როგორც ერთად-ერთს პოლიტიკურს პროგრამას: დამოუკიდებლობას ალბანეთისას, რომელიც შეიცავს სკუტარის, სკოპიას სალონიკის, მონასტერის და იანინას ტერიტორიას. ამ გვარად ალბანელ ერის მისწრაფება სავსებით ჩამოყალიბდა და პოლიტიკურმა შემოქმედებამ განსაზღვრული სახე მიიღო. ეს ეროვნულ ნების გამომჟღავნება ალბანელებმა ჰააგის ინტერნაციონალურ კონფერენციასაც გადასცეს 1907 წ., სადაც ნათლად აღნიშნეს თავისი ეროვნული მოთხოვნილებანი და უფლება თავისუფლებისა. რა საკვირველია, ჩვენ განცალკევებულად ამ ფაქტს არავითარ ფასს არ ვსდებთ. ეს ერთგვარი რეკლამაა, თუ გნებავთ, რომელსაც მხოლოდ მაშინ ეძლევა რაიმე ღირებულება, თუ მას მხარს უჭერს თვით ერი, ეროვნული შეგნება განსაზღვრულ ნებად ჩამოყალიბებული.

ამ გვარად ჩვენ მივადექით იმ მომენტს, როდესაც ოსმალეთში მოხდა „რევოლიუცია“. ყოველი ნამდვილი რევოლიუცია არის პოლიტიკურ ძალთა გაბატონებელ კლასიდან დამონავებულ კლასებისაკენ გადახრა. ამიტომაც ნამდვილი, ღრმა რევოლიუცია არის ყოველთვის მომწიფებულ შინაგან წინააღმდეგობის გამომჟღავნება. ხოლო ჩამორჩენილ ქვეყნებში ხშირად „რევოლიუცია“ უფრო გარეგან პირობათა ზეგავლენით ხდება, ვიდრე შინაგან განვითარების ძალით. მას იწვევს საერთაშორისო ურთიერთობის ნიადაგზე პოლიტიკური გაკოტრება: დიდი დამარცხება, ფინანსიური უძლურება და სხვ. არც ერთი დიდი სოციალიარი ცვლილება რუსეთში არ ყოფილა მომწიფებულ შინაგან ძალთა გამომჟღავნების შედეგი. არც ოსმალეთშიც შინაგან პოლიტიკური განვითარება არ ყოფილა ისეთი, რომ ძირითადი რევოლიუციის მოხდენა შესძლებოდეს. ხოლო საერთა-შორისო მდგომარეობა ოსმალეთისა ისეთი იყო, რომ კონსტიტუცია ერთად ერთი საშუალება იყო ოსმალეთის დაცემის დროებით მაინც შესაჩერებლად. გაიხსენეთ იგივე წითელი სულთანი, რომელმაც შიშის ზარი დასცა მთელ ოსმალეთს. როცა ის ტახტზე ავიდა, ევროპის სახელმწიფონი დამონავებულ ერთა მდგომარეობით ვითომ დამწუხრებულნი, ოსმალეთის შინაგან ცხოვრებაში მეტად ერევიან. ნიჭიერი და გაიძვერა პოლიტიკოსი ჰამიდი უეცრივ ტაქტსა სცვლის. თქვენ გაწუხებთ დამონავებულ ერთა მდგომარეობა? ბატონი ბრძანდებით. მე თქვენზე კარგად ვუპატრონებ მათ, აი მიმირთმევია მათთვის საუკეთესო კონსტიტუცია, უკეთესი, ვიდრე თქვენ თვითონ მოგეპოებათ. ევროპის სახელმწიფონი შეერთდნენ, შერცხვენილებმა უკან დაიხიეს, ჰამიდმა კი, რა კი დაუპატიჟებელი სტუმრები ჩააჩუმა, კონსტიტუცია ისევე ადვილად უკან წაიღო, როგორც გამოსცა. რა საკვირველია, მას შემდეგ ოსმალეთი პოლიტიკურად წინ წავიდა, მაგრამ მაინც ისე ჰზად არ ყოფილა, რომ რევოლიუცია მოეხდინა. ხოლო ოსმალოს პატრიოტები ხედავდნენ, თუ როგორ თანდა თან შორს მიდიოდნენ ევროპის სახელმწიფონი ოსმალეთის შინაგან ცხოვრების მოწესრიგებაში. მაკედონიაში უკვე შემოიღეს საერთაშორისო ჟანდარმერია და ევროპიელი აფიცრები ჩააყენეს, ფინანსიურად სახელმწიფო სულ უკან-უკან მიდიოდა, ყოველ სესხს თან მოჰყვებოდა კონცესიები, რომელიც ეკონომიურად და მასთან პოლიტიკურადაც ოსმალეთს ბოჭავდნენ თან და თან. და აი სამხედრო ორგანიზაციამ წოდებულმა „ერთობის და პროგრესის“ პარტიად ხმალი ამოიღო, დასცა ისედაც დაცემული რეჟიმი, კონსტიტუცია გამოაცხადა. თავდაპირველად ყველა ჩაგრულნი იმედით აივსნენ, მათში ალბანელებიც, მაგრამ ხანმოკლე იყო მათი იმედი. განა იეზუიტს რომ ანაფორა გახადო და ფრაკი ჩააცვა, ის არსებითად შეიცვლება ამით? „ახალგაზრდა ოსმალოებმა“ ჩააცვეს ოსმალეთს საკონსტიტუციო“ ფრაკი, მაგრამ განა ამით ოსმალეთის სახელმწიფოებრივი საქმიანობა ძირიანად შეიცვალა? სრულიადაც არა. თუ წინედ პიროვნული დესპოტიზმი მეფობდა, ეხლა ეს დესპოტიზმი სამხედრო კასტაში გაიხსნა, პიროვნების მაგიერ შემოქმედად ჯგუფი გამოვიდა. დამონებულთა მოლოდინი გაცრუვდა, პირიქით დესპოტიზმმა ცენტრალისტური მიდრეკილება უფრო გააძლიერა. ამისათვის საკმარისია დავასახელოთ „ახალგაზრდა ოსმალოთა“ საარჩევნო ტაქტიკა, საარჩევნო ოლქების ისეთი ხელოვნური დანაწილება, რომ ჩაგრულთ თითქო ხმაც ჰქონდათ, მაგრამ არავის არჩევა შეეძლოთ, ქრისტიანე ერების აღზრდის საქმეში ძველ პრივილეგიებთან ბრძოლა, არამც თუ მათი გაფართოება, მაგრამ საუკეთესო მაგალითი თვით ალბანეთია, ბარბაროსულ ქვეყნებში პოლიტიკური ბრძოლა ამითაა აუტანელი და პირდაპირ მოწამებრივ თავგანწირულებას მოითხოვს, რომ ბარბაროსი შენი საკუთარი რწმენის და პოლიტიკურ მოქმედების პასუხის მგებლად მარტო შენ კი არ გხდის და მარტო შენ კი არ გდევნის, არამედ შენს დედას, მამას, ძუძუმწოვარ ბავშვს, მთელ შენ გვარს და ხშირად მთელ თემსაც ის განუკითხავად სწვავს და ანადგურებს ყველაფერს იქ, სადაც ვინმე მის წინააღმდეგ გაიქაჩანებს. საკონსტიტუციო ოსმალეთიც ასე მოიქცა. დაიწყო ალბანეთში ეროვნული მოძრაობა თუ არა, შეუსია ჯარი, სოფელი სოფელზე, ქალაქი ქალაქზე ცეცხლს მისცა, მოუსპო ხალხს სარჩო და ბინა, ქლიტა უიარაღო ქალი და ბავშვი. მაგრამ ვილაპარაკოთ თვით ინგლისელი, რომლის ბუნება ყოველივე გადაჭარბების წინააღმდეგია. „ოსმალოს ჯარიო, ამბობს კარლოს ვოოდსი, მოქმედებდა ჩრდილო ალბანეთში წარმოუდგენელი სისასტიკით. ის არ კმაყოფილდებოდა მარტო იმით, რომ განუკითხავად არის ვინმე ავადმყოფი ან დაჭრილი შიგ, ცეცხლს აძლევდა ყოველივე ალბანელის სახლს. მან ასჩეხა ვენახები და ხეხილის ბაღები და ამით გაშენებული მხარე ველურ უდაბნოდ აქცია. ეკლესიები და სახლები გაძარცვეს და ცეცხლი წაუკიდეს. ასე რომ თვით ის თემები, რომელთაც მონაწილეობა არ მიიღო აჯანყებაში, იძულებული გახდენ გაქცეულიყვნენ და აჯანყებულთ შეერთებოდენ. მცხოვრებთა უბედურება კიდევ იმით ორკეცდებოდა, რომ ალბანეთის ამ ნაწილში ხალხს თითქმის არ ქონია ამ წელს ნათესი ყანები. მათ მოახერხეს მეტად მცირედი სივრცის დამუშავება შავი მთის საზღვრების გასწვრივ, რადგან მრავალ თვეთა განმავლობაში მთიულები უცხოელთა შემოსევის მოლოდინში იარაღში ისხდენ, ასრულებდენ რა თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე“. მაშ აშკარაა, საკონსტიტუციო ფრაკის ჩაცმა კიდევ ნამდვილ კონსტიტუციას არ ნიშნავს. ის თუ ნიშნავს მხოლოდ ერთს. რამდენადაც გაბატონებულ ერში სახელმწიფო ჰკარგავს ბიუროკრატიულ პიროვნულ ხასიათს და სახელმწიფო შემოქმედება მასიურ ხასიათს იღებს, იმდენადვე დამონებულ ერთა ჩაგვრა ინტენსიური და სისტემატიური ხდება.

როცა პირველად კონსტიტუციის შემოღებასთან ერთად ალბანეთში ეროვნული მოძრაობა დაიწყო, ბევრმა ცილისწამებასაც მიმართა, ალბანელები რეაქციონერებადაც კი მონათლეს. ესეც არა ახალი ამბავია. გაბატონებულ ერს განურჩევლად მიმართულებისა ჩვევია დამონებული ცხვირით ატაროს. კაცო, რა დროს შენი ენაა, რა დროს შენი ავტონომიააო. ჯერ საერთო თავისუფლება და მერე შენზე ვიფიქროთო. მეტად ბრიყვი და პოლიტიკურად უვიცი ან გათახსირებული უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთს ლათაიებს ყური უგდოს. ალბანელების რეაქციონერობაც იმდენად მოჭორილი იყო, ვისაც ალბანეთის თავისუფლება გულზე დანად ესობა. ნამდვილად კი ალბანელებმა დიდად შეუწყვეს ხელი კონსტიტუციის გამოცხადებას. როცა ოსმალეთში რევოლიუცია იწყებოდა, ივლისში 1908 წელს, ფერიზოვიჩში შეკრებილი იყო 6000 ალბანელი, რომელთაც აბდულ-ჰამიდს ტელეგრამით მოსთხოვეს კონსტიტუცია. ამ მოთხოვნას გადამწყვეტელი მნიშვნელობა ჰქონდა, აბდული დაჰყვა მათ ნებას. ასეთია სიმართლე.

კონსტიტუციის გამოცხადებამდე დიდი აზრთა ბრძოლა იყო ალბანეთში. ავსტრია კათოლიკე ალბანელებს ეჩიჩინებოდა, ჩვენც კათოლიკენი და თქვენც, მოდით, ჩვენსკენ მოიწიეთო. ბულგარიას, იტალიას, საბერძნეთსაც არ ეძინათ. მაგრამ ბოლოს ყველა ხახა მშრალი დარჩა. ალბანეთმა ყველას ზურგი უჩვენა, ეროვნული მოძრაობა მკაფიოდ დაიწყო. ჩემს მიზანს არ შეადგენს დაწვრილებით ავწერო ეს მოძრაობა. მე მსურს მხოლოდ გამოვამჟღავნო ბუნება, ხასიათი ალბანელთა ბრძოლისა. ამისთვის კი სრუ-

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 6 4.

ხსოვნის პატივსაცემად, ცხინვალის საზოგადოებამ, განსვენებულის დასაფლავების დღეს, გადაიხადა პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის სტ. კაპანაძემ ლამაზ სიტყვებით დამსწრეთ გააცნო იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა და მნიშვნელობა.

ამასთანავე ცხინვალის საზოგადოებას უნდოდა განსვენებულისათვის გვირგვინით ეცა პატივი, მაგრამ, საუკეთესოდ მიიჩნია შეგროვილი ფული თვით ძვირფას იაკობისაგან დაარსებულ „სახალხო განათლების ფონდს“ შეერთებოდა.

შემომწირველთა სია: თავ. აპოლ. მაჩაბელმა 1 მ. 50 კ., 1 მანეთი: კნ. ეფ. მაჩაბლისამ, თავ. ბექთაბეგოვმა, მღ. ხიდაშელმა, ნ. ივაშჩენკომ, მ. ხომშიევისამ, ი. ოქროპირიძემ და მაშო ბასიშვილმა. 50 კაპ.; თავ. ერისთავისამ, თავ. გ. ფავლენიშვილმა, თავ. სიკ. მაჩაბელმა, თავ. ვას. მაჩაბელმა, მღ. ალ. ოქროპირიძემ, ოლ. ნადირაძემ, მიხ. ჩიტაევმა, ი. გ., ღვთის[illegible], მღ. ვას. გულიევმა, ზაქ. კუმარიტოვმა, ლეჟ. კვინიკაძემ, ვას. ძუწოვმა, ივ. ცერაძემ, ვ. იარალოვმა, ნ. იარალოვმა, ლ. იარალოვმა, ანდ. ელიოზოვმა და ბარბარე ლალიევისამ. 25 კაპ. ს. მაისურაძემ. 20 კაპ.: მღ. სვჩა გულიევმა, ჩიტო კასრაძემ, გრ. ყულიაევმა, ნ. პონიევმა, ივ. კოტიაშვილმა, სანდ. კასრაძემ, სტ. ოგანოვმა, მამად-ისმაილ-ოღლიმ, ნ. კუმარიტოვმა, პარ. ლაშხიმ, დ. ჩიტაევმა, იოს. ვ—ძემ, იოსებამ და იოს. კასრაძემ. 10 კაპ.: ქეშზა ცლტნიაშვილმა, სტ. ტერ-აბრამიანმა, ლევ. ჯალაბაძემ, დ. კობალაძემ, სერ. ბაწიევმა, ვ. ქრისტესოშვილმა და ნიკო კასრაძემ.

სულ 21 მან. 75 კაპ.

აქედამ სამძიმრის დეპეშის გაგზავნა—1 მან. 80 კაპ., 1 მან. კაცის გაგზავნაზე სოფ. ქვემო-ნიქოზში მღ. დავით კაჭარავასთან, შევვეტყობინებინა პანაშვიდისთვის ამოსულიყო (ამისთანავე მადლობას ვუძღვნით პატივცემულ მამა დავითს, რომ არ დაგვიზარდა და პანაშვიდი გადაგვიხადა) 15 კ. ფულის გადასაგზავნი.

დარჩა 18 მან. 80 კაპ. რაც პატივცემულ რედაქციას წინა ფოსტით უკვე ვაახელით იაკობ გოგებაშვილის სახალხო განათლების ფონდისთვის გადასაცემად.

პატივისცემით ექ. **ზ. ოქროპირიძე.**

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ამით ვაცხადებთ, რომ თანახმად ხელის მოწერის პირობებისა, წლიური ხელის მოწერის ფასის გადასახდელი მეოთხე და უკანასკნელი **ვადა არის 1 ივლისი,** როდესაც გადახდილი უნდა იყოს სრული ფასი 8 მან. და 50 კ. **„სახალხო გაზეთის“ კანტორა.**

ქ. შ. წ. კ. გ. ს. წლიური კრება

13 ივნისის სხდომა.

კრება საღ. 8 სათზე გაიხსნა. წინანდელი სხდომის ოქმის წაკითხვის შემდეგ, გრძელდება ანგარიშის განხილვა.

პროფ. ა. ჯავახიშვილი დიდხანს ლაპარაკობს და აღნიშნავს საზოგადოების სკოლების ცუდ მდგომარეობას. სკოლების ვითარება იქ უფრო კარგია, სადაც საზოგ. განყოფილებანი უდგიან ამ საქმეს სათავეში, ხოლო მთავარი გამგეობის ხელქვეითი სკოლები ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობას განიცდიან, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას თითო მოწაფის შენახვა 45—დი უჯდებათ—1910 წ. შედარებით შარშან 20% დაჰკლებია მოწაფეთა საზოგადო რიცხვსაო. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ გამგეობის მოქმედების ანგარიში ვერ არის შესაფერად შედგენილი: ცხრილები ხშირად არეულ-დარეულია, საერთო ანგარიშის ცხრილებს ჯამი არა აქვთ და სხვ. მისი აზრით, თუ გამგეობას შედარებით ცოტა რამ გაუკეთებია, ეს იმის მიზეზითაა, რომ გამგეობის წევრები საქმით დატვირთული ხალხია—კითხულობს იმ ცხრილს, რომელშიც აღნიშნულია, თუ რომელი წევრი რამდენჯერ დასწრებია გამგეობის სხდომას და შემდეგ შემოაქვს განსაზღვრული წინადადება: საქმის წარსამატებლად და მუშაობის გასანაყოფიერებლად საჭიროა შეიცვალოს გამგეობის მუშაობის წესი: დაარსდეს განსაზღვრული განყოფილებანი—სექციები, რომლებიც დამოუკიდებლად და თავისუფლად იმუშავებენ იმ სფეროში, რომლისთვისაც იგინი იქნებიან არჩეული, მაგ. სკოლების სექცია, ბიბლიოთეკასამ., მუზეუმისა, წიგნის გამოცემლობისა და სხვ. ხოლო მუშაობის მთლიანობისა და გაერთიანებისათვის თითოეული სექცია თითო წევრს გაგზავნის მთავარ გამგეობის სხდომებზე, რომ იქ ამცნოს და დაიცვას სექციათა საჭიროებანი.

ხარტიშვილი ეხება გამგეობისაგან მასწავლებელთა ერთი სკოლიდან მეორეში უდროოდ გადაყვანას, როგორც მაგ. გიორგი წმინდის სკოლაში მომხდარა. რაც შეეხება იმ წიგნებს, რომლებიც კაი ხანია საწყობშია და აღარ იყიდება, დაურიგდეს უფასოდ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს. იგი მოითხოვს აგრეთვე, რომ წევრთა არსებულ სიასთან ერთად დაიბეჭდოს ხოლმე იმ პირთა გვარებიც, რომლებიც ოდესმე ყოფილან წევრად და დღეს კი აღარ ითვლებიან; საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა მიზეზით დაუწყვიათ თავი წევრობისათვის, რომ რამე გავლენა ვიქონიოთ მათზე.

დ. ვაჩნაძე აღნიშნავს, რომ გამგეობას თვალსაჩინო არა გაუკეთებია რა საანგარიშო წლის განმავლობაში, რადგან ის მდგომარეობა, რაც ამ 33 წლის განმავლობაში ყოფილა, დღეს უცვლელად რჩება. საჭიროა გამგეობა მეტის ყურადღებითა და მხნეობით მოეკიდოს მისგან ნაკისრ მოვალეობას.

შ. მესხიშვილი: ჩვენი საზოგადოების მიზანი და დანიშნულება მხოლოდ წერა-კითხვის გავრცელებით არ განისაზღვრება. დიდად საჭიროა აგრეთვე ქართველი მკითხველისათვის დროის შესაფერი ხეირიანი წიგნის მიწოდება, რაც გამგეობას დღემდი ვერ მოუხერხებია. ორაა, შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ საზოგადოება 3 წიგნსა ბეჭდავს წელიწადში და იმასაც ისეთი შინაარსისას, რომელსაც დღეს აზრი და მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორც მაგ. „იავნანამ რა ჰქმნა“, „ასპინძის ომი“ და სხვა. შარშანაც იყო ამის შესახებ საზოგადო კრებაზე ლაპარაკი, მაგრამ იგი ლაპარაკადვე დარჩა. ფული არა გვაქვსო, იტყვით. მართალია, მაგრამ კარგი წიგნი ხარჯს ყოველთვის აანაზღაურებს, დღეს კი ქუჩური ელფერისა და უშინაარსო წიგნებმა გარყვნეს ქართველი მკითხველი.

შემოაქვს წინადადება: გამგეობამ მოიწვიოს სპეციალური კომისია და მასთან ერთად შეიმუშაოს გეგმა დროის შესაფერი და შინაარსიანი წიგნების გამოცემისა.

გამგეობის წევრი დ. კარიჭაშვილი რამდენიმე განმარტებას იძლევა ორატორთა შენიშვნების შესახებ.

ირ. რამიშვილი უსაყვედურებს გამგეობას, რომ სტიპენდიები რიგიანად და სამართლიანად ვერ რიგდებაო, რამაც კამათი გამოიწვია გამგეობისა და კრების წევრთა შორის.

კ. აბაშიძე: სტიპენდიების განაწილების საკითხი ისეთი რთული და ძნელი საქმეა, რომ ამის გამო გამგეობისადმი საყვედური უსამართლობა იქნებოდა. შეუძლებელია სტიპენდიები ისე დაარიგოთ, რომ ერთი და ორი უკმაყოფილო არ დარჩეს. განა საკმაოა, რომ დახმარება მხოლოდ ღარიბს მიეცეს? სიღარიბესთან ერთად საჭიროა, რომ მთხოვნელი ნიჭიერიც იქნეს, და რადგან ასეთი შეთანხმება ორი თვისებისა მეტად ძვირია, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში სტიპენდიებად გაცემული ფული ტყუილ-უბრალოდ დაკარგულია. ვერავითარი ინსტრუქციები ვერ აგვაცდენენ თავიდან თითოოროლა უკმაყოფილოს. (საკითხს ქიათურის საბჭოს მაგალითით აშუქებს, სადაც ყოველ წლივ დიდი ფული იხარჯება სტიპენდიებზე). ჩვენ უნდა ვეცადოთ, პრესისა, თუ სხვა საშუალებით გავავრცელოთ აზრი, რომ შემომწირველები დახმარების გაღების დროს ნუ შეგვბოჭავენ განსაზღვრული ინსტრუქციებით, რადგან ის თანხები, რომლებიც დღეს გვაქვს საგანგებო მიზნისათვის რომ არ იყონ დანიშნული, უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდნენ ჩვენს საზოგადოებას.

შემდეგ ამისა კრებამ ერთხმად დაამტკიცა ანგარიში და მიიღო შემდეგი დადგენილებანი:

1) წინადადება კ. აბაშიძისა, წიგნების საწყობის მოწესრიგების შესახებ.

2) წინადადება შ. მესხიშვილისა, რომ გამგეობამ მოიწვიოს საგანგებო კომისია, რომელიც მასთან ერთად შეიმუშავებს წიგნების გამოცემის გეგმას,

3) პროფ. ა. ჯავახიშვილის წინადადებით აირჩიეს კომისია, რომელშიც შევიდნენ: პროფ. ა. ჯავახიშვილი, ივ. მაჭავარიანი, ივ. ზურაბიშვილი, შ. მესხიშვილი და პ. გელეიშვილი; ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს ახალი წესი გამგეობის მუშაობისა.

დასასრულ კრებას მოხსენდა სოხუმის განყოფილების თხოვნა 10.000 მან. სესხის სახით მიცემის შესახებ ადგილობრივი სკოლის საჭიროებისათვის. გამგეობას განუხილავს ეს თხოვნა, მაგრა რადგან თავისუფალი თანხა ამისათვის საზოგადოებას არა ჰქონია, თვითონ ვერ გადუწყვეტია ეს საკითხი. ყოფილა ერთი თანხა ზუბალაშვილის სახელობისა, რომლიდანაც, ზოგიერთის აზრით, შეიძლებოდა მიცემა ამ სესხისა, მაგრამ კრების უმრავლესობამ არ შეიწყნარა ეს აზრი, რადგან თანხა ხელუხლებელი ყოფილა. კრება ღამის 12 საათზე დაიხურა, შემდეგი სხდომა პარსკევს, 15 ივნისის, საღამოს 7 საათზე.

მასწავლებელთა კურსები თელავში.

5 ივნისს თელავის სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში გაიხსნა სამინისტრო სკოლების სოფლის მასწავლებლებისათვის სამასწავლებლო კურსები. კურსებს ხელმძღვანელობს სახალხო სკოლების მეორე რაიონის ინსპექტორი ნ. ნ. პოგორელოვი. დაახლოვებით კურსები გაგრძელდება 20 ივნისამდე. 6 ივნისს უკვე თავი მოიყარეს, თიანეთის, თელავის, სიღნაღის მაზრის და ზაქათალის ოლქის მასწავლებელმა ქალებმა და ვაჟებმა რიცხვით 40. ამათში ქალი 27-ია და ვაჟი 13; ასე განიყოფებიან: 31 ქართველი, 4 რუსი, 4 ლეკი და ერთი სომეხი. 6 თიბათვეს პირველ საათზე აუდიტორიაში პარაკლისი გადიხადეს—პარაკლისის დაწყებამდის ინსპექტორმა პოგორელოვმა მოკლე სიტყვით აუხსნა დამსწრეთ მნიშვნელობა კურსებისა. კურსებზე ლექციების მოსმენის უფლება გარეშე პირთაც მიეცათ, რაც შარშანდელ კურსებზე აკრძალული ჰქონდათ. ამისათვის კურსებზე რამდენიმე სამრევლო სკოლის მასწავლებლები დი გარეშე პირნიც დაიარებიან. ლექციებს მათემატიკაზე—კითხულობს მიხ. ნ. პესოცკი; ბუნების მეტყველებაზე—ლ. მ. მიშკინისა; რუსულ ენაზე და საზოგადოდ ენის დიდაქტიკაზე—პ. მ. კორხანიდი. ლექციები იქნება აგრეთვე გეოგრაფიაზე და ჰიგიენაზე. 12 ამ თვიდან მასწავლებელთათვის სამი ოთხი დღით გაიხსნა ამ შენობაშივე გამოფენა საუკეთესო და ახალი სახელმძღვანელოების, მოდელებისა და სურათებისა. სადაც მასწავლებლები ეცნობიან სახელმძღვანელო წიგნებს და სურათებს. რამდენიმე მასწავლებელი სანიმუშო გაკვეთილს მისცემს.

წყაროსთაველი.

გორის საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა

წლიური კრება.

კვირას, 10 ივნისს, მოხდა გორის საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა წლიური კრება ბანკისავე სადგომში. კრება უნდა დაწყებულიყო დილის 11 საათზე, მაგრამ რადგან ეს დღე ჩვენს ცხოვრებაში ერთი შესანიშნავი და ამასთან შავი დღე იყო—ამ დღეს ასაფლავებდნენ ჩვენს მცხოვან პედაგოგს, უბადლო პუბლიცისტს, სახელოვან მამულიშვილს და უანგარო საზოგადო მოღვაწეს იაკობ გოგებაშვილს, ამიტომ გამგეობა—საბჭოსი და თვით ბანკის ზოგიერთნი წევრნი წავიდნენ ჯერ სომხების სამების ეკლესიაში, მერმე საკრებულო ტაძარში, სადაც გარდახდილ იქმნა პანაშვიდები განსვენებულის სულის მოსახსენებლად. 12 საათისათვის ბანკის სადგომი უკვე გავსებულიყო წევრებით. კრებას წევრთა გარდა დაესწრნენ კერძო პირნიც, ბანკის საქმეთა მდგომარეობით დაინტერესებულნი და პრესის წარმომადგენელნი. გამოცხადდა სულ 162 წევრი. განსახილველი იყო: 1911 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება; 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება; 1911 წლის მოგების განაწილება; არჩევნები საბჭოსი, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების და მათი კანდიდატების; საზოგადოების საბჭოს, მიმღები კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ჯილდოს შესახებ საკითხის გამორკვევა და მის რაოდენობის გადაწყვეტა და სხ. კრების გახსნის წინ საბჭოს თავმჯდომარემ ა. შეპფმა იქ დამსწრეთ წინადადება მისცა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულ პედაგოგ იაკობ გოგებაშვილის და დრამატურგის გ. სუნდუკიანცის ხსოვნის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე წამოდგნენ. შეუდგნენ კრების თავმჯდომარის არჩევას. დაასახელეს გ. ნ. ამირეჯიბი.

გ. ამირეჯიბი. (რუსულად) აქ ლაპარაკი, ვგონებ, ქართულად უნდა სწარმოებდეს. ამიტომ ბოდიშს მოვიხდი, თუ თავმჯდომარის თანამდებობაზე უარს ვიტყვი. ქართული კარგად არ მესმის.

ამის შემდეგ ასახელებენ ზ. ქიტიაშვილს, მაგრამ ისიც უარს ამბობს. „ცინცაძე, ცინცაძე“, გაისმის აქეთ იქიდან ყვირილი და ტაში. ი. ცინცაძე (ი. ეკალაძე) მადლობის ნიშნად თავს უკრავს საზოგადოებას და იჭერს თავმჯდომარის ალაგს, აცხადებენ—ბანკის არა წევრთ არ შეუძლიანთ კრებაზე დასწრება, ამიტომ გთხოვთ ვინც წევრი არ არის დარბაზიდან გაბრძანდესო.

კერ. ვექ. ნატროშვილი. კანონში არ არის ნაჩვენები, რომ კერძო პირთ ბანკის კრებაზე დასწრება ეკრძალებათო.

ე. ხუციშვილი კითხულობს წესდებას, საიდანაც სჩანს, რომ კერძო პირთ უფლება არა აქვს კრებაზე დასწრებისა.

კერ. ვექ. ნატროშვილი. ვგონებ ჩვენ კამათში მონაწილეობას არ ვიღებთ, ბანკის საქმეებში არ ჩავერევით, და თუ მოვსულვართ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბანკის საქმეთა მდგომარეობა გვაინტერესებს. (დარბაზში გაისმის ხმები: „გთხოვთ, გთხოვთ—დარჩეთ“!)

თავმჯდომ. ი. ცინცაძე—კითხულობს განსახილველ საგანთა სიას. კრება ადასტურებს სია განხილულ იქმნას მუხლობრივ, როგორც ეს აღნიშნულია პროგრამაში.

ა. შეპფი კითხულობს რუსულად ბანკის წლიურ ანგარიშს და ამავე სთარგმის ქართულად თავმჯდომარე. ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ ბანკის საქმეები დღითი დღე უმჯობესდება, მტკიცე ნიადაგზე დგება. ბანკი გაუხსნიათ 1908 წ. 8 ოქტომბერს. საანგარიშო, 1911 წლის 1 იანვრისთვის წევრი ყოფილა სულ 311, ამავ წელს მოჰმატებია 50, დაჰკლებია 30. ამგვარად მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის ყოფილა 331 წევრი. მთელი წლის განმავლობაში, 1911 წლ. განმავლობაში, 1911 წლის 1 იანვრიდან 1912 წლის 1 იანვრამდე, საზოგადოებას დაუტრიალებია 2,992,742 მან. 34 კ. წინა წლისთვის გადაუჭარბებია 748,358 მ. 52 კაპეიკით. 1911 წლის 1 იანვრისათვის კასაში ყოფილა 8486 მ. 67 კ. წლის განმავლობაში შემოსულა ნაღდი 566,490 მან. 28 კ. გაუცია ნაღდად 566,780 მან. 91 კ. საანგარიშო წელს კასას დაუტრიალებია სულ 1,131,271 მან. 19 კ. საშუალოდ კასას უტრიალებია 279 დღის განმავლობაში 4098 მ. 80 კ. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის კასაში ყოფილა 10196 მან. 4 კ.

საანგარიშო წელს ხარჯი ყოფილა სულ 8400 მან. 74 კ. ჯამაგირი გამგეობის წევრთ 2500 მ. ბანკში მოსამსახურეთ 2145 მ. ჯილდო საბჭოს წევრთ 325 მ. მიმღებ კომიტეტისას 348 მ. სარევიზიო კომისიისას 75 მ. მსახურს 240 მ. მსახურის ტანისამოსი 59 მან. 55 კ. ბინა 400 მან. საწარმოვო მოწმობა და საწ. გადასახ. 221 მ. 84 კ. განათება-გათბობა 263 მან. 44 კ. გაზეთები, წიგნები 47 მან. 45 კ. დახმარება ამიერ კავკასიის საოსტატო სემინარიის საკუთარ შენობის ასაგებად 300 მ. და სხვა.

სულ 8400 მან. 74 კ.

კითხულობენ სარევიზიო კომისიის მოხსენებას. მოხსენებიდან აღმოჩნდა, რომ ანგარიში 1911 წლისა შედგენილია სწორე, რაიც მტკიცდება წიგნებით, დოკუმენტებით, საქმეებით. წიგნებს აწარმოებენ სათანადოდ, ბუღჰალტერია რიგზეა დაყენებული. ხარჯის დროს საკმაო ეკონომიაა გაწეული. სახარჯოდ გადადებულ 8780 მანეთიდან გადაურჩენიათ 1127 მან. 26 კ. 1911 წ. საზოგადოებას წმინდა მოგება დარჩენია 1000 მან. ეს ფული, საჭირო ხარჯების გამოკლების შემდეგ, სარევიზიო კომისიის აზრით უნდა მიემატოს იმ ფონდს, რომელიც გადადებულია ბანკისთვის საკუთარ შენობის ასაგებად. ერთი სიტყვით, დასძენს სარევიზიო კომისია, ბანკის საქმეები კარგად მიდის, წევრები ემატება, საწარმოვო თანხა იზრდება, იზრდება შემოსავალიცაო. (ზოგიერთ წევრთ შეკითხვა შეაქვთ. ხმაურობაა).

თავმჯდომ. ბ-ბო, თქვენ გარდასწყვიტეთ პროგრამის მუხლობრივ განხილვა, ნუ ავუხვევთ გვერდს ამ გარდაწყვეტილებას. განვიხილოთ ჯერ 1911 წ. ანგარიში.

ბუღჰალტერი ხუციშვილი კითხულობს ანგარიშს მუხლობრივ.

გ. ტატიშვილი. ჩვენ სარევიზიო კომისიას ნდობა გამოუცხადეთ, ამიტომ, ვგონებ, მეტია ანგარიშის მუხლობრივ წაკითხვა.

(მეტია, მეტი! ისმის აქეთ-იქიდან). ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ და დამტკიცებულ იქმნა.

იხილავენ 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია ასე: პირველ დირექტორს გ. კაპანაძეს 1800 მ. მეორე დირექტორს-კასირს გ. კვალიაშვილს 1500 მ. ბუღჰალტერს 1200 მ. მის თანაშემწედ: ვ. ციციანოვს 720 მ. ს. ჩუტკერაშვილს 540 მ. ქალს ე. ყარანგოზიშვილს 480 მ. გადამწ. ვ. სოლოღაშვილს 240 მ. ორ მსახურს ტანისამოსით 480 მ. ბინა 600 მ. გაზეთები და წიგნები 100 მ. მოულოდნელი ხარჯები 300 მ. სახელმწიფო გადასახადი 400 მ. ბალანსების და ანგარიშების გამოცხადება 120 მ. და სხვ.

სულ. . . . . . 9945 მ.

ხარჯთ-აღრიცხვით ჯამაგირები ემატებათ ყველა მსახურთ. ორ დირექტორს 600 მან. დანარჩენთ 120 მ. წელიწადში.

სან-განი-ძე.

(დასასრული იქნება)

ქართველთა კულტურის იერიში აფხაზეთზე.

გაზ. „ზაკავკაზ. რეჩში“ ამ სათაურით მოთავსებულია რუსის ეპისკოპოსის ანდრიას წერილი. მოგვყავს თითქმის მთლად.

„სოტრუდნიკ ზაკავკაზსკოი მისსიაში“ დაბეჭდილი იყო ცნობა,—თეკლათის მონასტრის იღუმენიას განზრახვა აქვს ტაძარი ააგოს სოხუმში. ამის გამო ტფილისის გაზეთი „გოლოს კავკაზა“ ამბობს: ახალი ტაძარი გააძლიერებს ქართველთა კულტურის იერიშს აფხაზეთზე, რაიც რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებისათვის ვერ არის ხელსაყრელიო“. ამიტომ, განაგრძობს

ლიად საკმარისია უმთავრესი მოვლენები აღვნუსხოთ.

როცა „ახალგაზრდა ოსმალონი“ ოთლი გამარჯვებით დამთვრალნი სტამბოლსა, სალონიკს და სხვა დიდ ქალაქებში ქადაგებდნენ „თანასწორობას, ძმობას და ერთობას“, ამ დროს ალბანელები მართავდნენ კრებებს ელბასანაში, ცირნაში და სხვა ქალაქებში. მათი მოთხოვნა ამ კრებებზე ფრიად ზომიერი იყო: ალბანეთში ოფიციალური ენა უნდა იყოს ალბანური, დაურიგდეს ხალხს ალბანური წიგნები, გაიხსნას ალბანური სკოლები. ამ სახალხო კრებების შედეგი იყო 1908 წ., კონგრესის მოწვევა მონასტერში. კონგრესის საგანი იყო ეროვნულ ანბანის დამყარება და ეროვნულ აღზრდის მოწყობა. ხანგრძლივ თათბირის შემდეგ კონგრესმა საბოლოოდ აღიარა—ეროვნულ ანბანის საფუძვლად მიიღოს ლათინური შესაფერი ცვლილებებით. იმავე დროს წინადადება მისცა ყველა ალბანურ წრეს დაემორჩილეთ მონასტერში არსებულ ბაშკიმის წრეს, ამით უზრუნველყოფილ იქმნა მოქმედების მთლიანობა. 1909 წელს შეიკრიბა მეორე კონგრესი ქ. ელბასანაში, დაადასტურა პირველი კონგრესის გადაწყვეტილებანი, და მიიღო პრაქტიკული ზომები პროგრამის ზოგიერთ ნაწილების განსახორციელებლად. როცა ალბანელები თავის ეროვნულს გინდ ლათინურს უპირდაპირებენ არაბულს, მათ ორი მოსაზრება აქვთ: ათი ათასჯერ უფრო ადვილი შესათვისებელია და უფრო ადვილად ეგუება ალბანურ ენის ხმებს. „თავისუფლების და პროგრესის“ პარტია ოსმალოთა თავისუფლად ამხედრდა ალბანელების წინააღმდეგ, მან მოისურვა ალბანელთა აღორძინების ლტოლვილების ჩაღრჩობა. ამისთვის ორ ზომას მიმართა. დაუწყო დევნა და დატუსაღება ალბანელ პატრიოტებს, დახურა ყველა ალბანური სტამბები; იმავე დროს მუსულმან ალბანელებს მიუსია მოლები და ხოჯები საქადაგებლად, ვიღუპებით, სარწმუნოებას შიში მოელისო, მხოლოდ არაბელთა წმინდა ენა, მხოლოდ ყურანის ენით და ანბანით უნდა ვწერდეთ და ვკითხულობდეთო.

არც სწავლა-აღზრდის საქმე შესცვალა ალბანელებისთვის „ახალმა“ რეჟიმმა. დაწყებით სკოლებში ისევ თურქულად ასწავლიდნენ, ხოლო საშუალოში ალბანური არსებობდა როგორც უცხო ენა და მასაც არაბული ანბანით ჴ თათრულის შემწეობით ასწავლიდენ. მაგრამ ხალხი ზიზღით შეჰყურებს ამ საქციელს ჴ არამც თუ არ აჰყვა ოსმალების ქადაგებას, პირიქით ეროვნულ აღზრდისაკენ მისწრაფება ისეთი ძლიერია, რომ ყველა კლასის ალბანელი, მუსულმანი თუ ქრისტიანი მართავდენ კრებებს კრებებზე, სადაც პროტესტს უცხადებდენ ოსმალთ. ელბასანაში შეიკრიბა 7000 კაცი და ფიცი დასდეს—სიცოცხლე შევსწიროთ ჩვენი ერის დაცვასაო. 1910 წელს კორშაში ვეებერთელა კრება გაიმართა. კრება ხოჯამ გახსნა ლოცვით. კრებამ ერთხმად დაადგინა—იბრძოლოს ეროვნულ ენისთვის უფლებების მოსაპოვებლად. ამავე კორშაში პატარა მოწაფეებიც კი არ ჩამორჩნენ ეროვნულ საქმეს. ოსმალურ საშუალო სკოლის მოწაფეებმა მიანებეს თავი ოსმალურ სკოლას და გადავიდნენ ალბანურ წყების სკოლებში. მათ მიჰბაძეს დაწყებით სკოლების მოწაფეებმაც. საქმე ის არის, რომ ალბანელებთ კარგად აქვთ შეგნებული ეროვნულ ბრძოლის გზა. ეს გზა არის გზა შემოქმედებისა, ერთი ხელით რომ ბატონს ასუსტებ, ამარცხებ, მეორე ხელით უნდა ჰქმნიდე შენს დაწესებულებებს, შენს ორგანიზაციებს. პირველ ხანებში კონსტიტუციის შემდეგ ოსმალები ვერ ახერხებდენ კერძო სკოლებთან ბრძოლას. კერძო შემოწირულებანი უხვად მოაწყდა და გაიხსნა ბევრი საზოგადოებრივი სკოლა. ელბასანაში დაარსეს სასწავლებელი მასწავლებელთა მოსამზადებლად.

საკონსტიტუციო მთავრობა სხვა სფეროებშიაც მუხრუჴს უჭერდა ალბანეთს. 1909 წელს ბედრი ფაშამ მოინდომა სახალხო აღწერა. ალბანელები წინააღუდგენ, რადგან კარგად გრძნობდენ, რომ აღწერის შედეგი იქნებოდა გადასახადების გადიდება, აგრეთვე ჯარისკაცების გამოყვანით ალბანელები გადასახადებს კი არ ებრძოდნენ, მაგრამ ისინი ამბობდენ—ალბანელთა გადასახადი ალბანეთისთვის. ჯარის წინააღმდეგიც არ იყვნენ მხოლოდ აცხადებდნენ—ალბანელი ჯარის კაცი ალბანეთისათვისო. ოსმალომ დამსჯელი რაზმი გაგზავნა, რეპრესიებს უმატა, ალბანელებმაც იარაღი აიღეს, ოსმალეთის მთავრობა ალბანელ ერს დაუპირდაპირდა. ის ცდილობს დაანგრიოს გამაგრებული საგვარეულო კოშკები, აჰყაროს ხალხს იარაღი, დაადვას ახალი გადასახადები, ჩააქროს ალბანური ეროვნული ლიტერატურა. დაანგრიოს ალბანური ეროვნული სკოლა. მაშ რა გასაკვირია, თუ ალბანეთი რევოლუციიდან მოყოლებული აჯანყებულია. ოსმალოს ჯარი თურგუთ—შევქეთ-ფაშის მეთაურობით იკლებს ალბანიას. 1910 წ. ბევრი ალბანელი შავმთას შეეფარა, შავი მთის ხალხი და მთავრობა დიდი სტუმართმოყვარეობით დახვდა დევნილთ. ალბანელთა ბრძოლა გართულდა. ოსმალებმა დაინახეს, რომ შეუძლებელია მათი ძალით დამორჩილება. გაიმართა ხანგრძლივი მოლაპარაკება. 1911 წელს სამ აგვისტოს მთელი დღის თათბირის შემდეგ ალბანელთა წინამძღოლებმა გადასწყვიტეს სამშობლოში დაბრუნება. ოსმალოს მთავრობამაც ბევრი მათი მოთხოვნა სავალდებულოდ სცნო, დაჰპირდა აოხრებულ სოფლების აღდგენას, ქონებრივ დახმარებას და ბევრ სხვას, მაგრამ არც ერთი დაპირება არ შეასრულა. მხოლოდ ერთ საქმეში გამოიჩინა გულმოდგინება—იარაღის აყრაში. მოტყუებული და კიდევ უფრო შეწუხებული ხალხი წელსაც, გაზაფხულდა თუ არა, აღსდგა. ალბანეთი იბრძვის ეროვნულ პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებისათვის, და ვინც ამ ბრძოლას თვალს ადევნებს, ვინც ამ შესანიშნავ მეომარ და თავის უფლების მოყვარულ ერის თავგანწირულებას დაინახავს, უნებლიეთ შესძახებს ალბანიის პატრიოტებთან ერთად: გაუმარჯოს თავისუფალ ალბანეთსა.

ნამ.

გაზეთი, „თუ ტაძრის აგების ნებართვას დიდ ამბავს უწოდებთ („სოტრუდნიკ.“ სიტყვით), იგი ისეთი ამბავია, რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესთა თვალით თუ შევხედავთ, რომელიც უარსაყოფის მნიშვნელობისა უფროაო“.

ასე სწერს კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესთა დამცველი გაზეთი.

თუმცა დაგვიანდა, მაგრამ მაინც გვსურს პასუხი გავცეთ პატრიოტთა გაზეთს ამ შენიშვნის გამო, რომელიც ჩვენდამია მიმართული. ძალიან განსაცვიფრებელია ზოგჯერ პატრიოტთა აზრები და რუსის გულის შეურაცხმყოფელ სიტყვებს წარმოსთქვამენ ხოლმე!

უპირველესად ყოვლისა, საკითხავია: წერილის დამწერი ყოფილა კი აფხაზეთში, თუ ყოფილა, სად? მაინც სად უნახავს ქართველთა იერიში აფხაზეთზე და სად შეუჩივლიათ მისთვის ეს ამბავი აფხაზებსა?

შემდეგ კიდევ ერთი რამ არის საკვირველი: ნუ თუ მართლმადიდებელთა ეკლესიის აშენება, ვისიც უნდა იყვეს და სადაც უნდა აშენდეს, რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესთა საწინააღმდეგო რამ არის? სწორედ ძალიან მოულოდნელი შეხედულება გახლავთ ჩემთვის, მართლმადიდებელთა ეპისკოპოსისა და რუსისათვის! ნუ თუ მართლმადიდებელთა ეკლესიის აშენება „რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესთა თვალსაზრისით—უარსაყოფია?“

იქნება მართლმადიდებელთა ეკლესიის დანგრევა არის დასადასტურებელ-მოსაწონი?

ყველა ეს ძლიერ საკვირველია და გაუგებარი.

საკვირველია: ოჩემჩირეში მეჩითის აგება არავის აშინებს და სოხუმში მართლმადიდებელთა ეკლესიის აშენებას ისე უცქერიან, ვით „ქართველთა მიერ აფხაზეთზე იერიშის მიტანასა“.

მაგრამ ხალხი, ვისაც ასე ძალიან ეინტერესება რუსეთის სახელმწიფოებრივობა, ძალიან გაჰკვირდება და შეშინდება, აბხაზეთი მართლა რომ იხილოს... რასაკვირველია ქართველთა გავლენას სრულიად ვერ შეხვდებოდნენ, მაგრამ ოსმალეთის გავლენა გააკვირებდათ. აი, საიდან არის, მართლა, იერიში! მე, მართლმადიდებელთა ეკლესიის ეპისკოპოსს, პირველად რომ შემხვდნენ სოფ. აჰანდარისა, აბგარხუკისა და დურიფშის მცხოვრებლები—მეჩითის დაარსება მთხოვეს!.. ან იქნება მოპოლიტიკე პატრიოტებისათვის ოსმალეთის მაჰმადიანობა უფრო სამჯობინარო იყოს, ვიდრე ქართველთა მართლმადიდებლობა?..

აი, ერთ დამახასიათებელ ამბავს მოგითხრობთ: ბერძნის სოფელ მიხაილოვსკში მივდიოდი და თან ორი სტრაჟნიკი მიმდევდა—ერთი ქრისტიანი აბხაზი იყო, მეორე — ლეკი მაჰმადიანი. წინ შეგვხდა რამდენიმე ბერძენი და სომეხი. და ჩემმა თანამგზავრებმა სომეხს და მის მუშა-ბერძნებს გზის თაობაზე რო ჰკითხავდნენ, ოსმალურად დაუწყეს ლაპარაკი! ოსმალურ ენას გუმისტინის მიდამოებში, სოხუმთან, შეუერთებია ბერძენი, სომეხი ლეკი, აბხაზიც!

რაც შეეხება ტაძრებს, აბხაზეთში ძალიან ბევრია დანგრეული ტაძარი ბერძნებისა. ზოგიერთს — ქართული წარწერებიც აქვს... ახალი ტაძარი კი აბხაზეთში სულ არ არის! რაღაც ქოხებია, რომელთათვის წვერზე პატარა ჯვრები გაუკეთებიათ! ამისთანა „ტაძრები“ დამაკმაყოფილებელი ყოფილა ქრისტიანობის დევნის დროს და არა მართლმადიდებელ რუსეთში. მაშასადამე ყოველი ლაპარაკი ქართველთა კულტურის აფხაზეთზე იერიშის მიტანის თაობაზე უგერგული გამოგონებაა. არ მინდა ვიფიქრო, თითქოს განზრახ, ბოროტად გამოგონილი იყვეს. შეიძლება მხოლოდ ვსთქვათ რამე რუსთა უზრუნველობის იერიშისა, რუსის მთავრობისა (და სამღვდელოების) მიერ კულტურის საკითხთა გაუგებრობისა და ოსმალთა ქვეშევრდომების შემოსევის თაობაზე. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ ქართველები აქ რა შუაში არიან?

ჩინეთის ამბები

დეპეშები.

ხარბინი. 200 ხუნხუზი დაეცა ჩინელთა სადარაჯო ბადაოხეცზის და მთლად ამოსწყვიტა. შემდეგ ბრბო, გაძარცვის მიზნით, სანჩაგოუსაკენ გაეშურა.

მუკდენი. ოლქის უფროსის სიტყვით, ასი მონგოლი ქალაქ ლიაოიანს მიუახლოვდა და ჩინელებს ემუქრებოდა თურმე. ჩინელებს მონგოლები უფრენიათ. მოკლულთა მონგოლთა შორის სამი იაპონელი აღმოჩნილა.

გირინი. ხუნხუზთა დასაჭერად გაგზავნილი 20 პოლიციელი იუიშუტინს ახლო საფარს წააწყდა და 16 კაცი დაჰკარგა, მძარცველ ხუნხუზთა ასალაგმავად ჯარი დაჰგზავნეს აქეთ-იქით.

პეკინი. გუბერნატორებს იუნშიკაიმ განკარგულება დაუგზავნა: ტყუილია, ვითომ მსურდეს მივბაძო ნაპოლეონ პირველის მაგალითსაო და მეორედ შეჰფიცავს რესპუბლიკასა. იუანშიკაი ემუქრება იმ პირთა ვისაც ამისთანა ხმა დაუგდია. განკარგულება გამოუწვევია ზოგიერთ გაზეთის განგაშს, იუანშიკაი დიქტატორობას აპირებსო და ვაჭრობის მინისტრის დეპეშას—შენი ბრალია თანშაოის წასვლაო.

პარიზი. „ჟურნალში“ დაბეჭდილია, გადასწყვიტეს პუანკარეს შეეკითხნონ, მართლა შეუცვლიათ თუ არა ჩინეთის სესხის პირობები, ისე, რომ ჩინეთის რკინის გზათა მიმართულება იცვლებაო.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

სტამბოლი. სმირნასთანა და ლემნოსის წყლებთან იტალიის გემები დაუნახავთ.

„სტეფანის სააგენტოს“ ატყობინებენ, ფარსანის კუნძულზე მყოფი ოსმალთა 300 ჯარის-კაცი საიდ იდრისის ჯარს ჩაჰვარდნია ტყვედაო. ჯარს ძალიან სუსტი წინააღმდეგობა გაუწევია. ქალაქ ებხაში მოემწყვდიათ სულეიმან-ფაშა. იგი სცდილობდა განთავისუფლებას, მაგრამ 200 კაცი ტყუილად დაჰკარგა და იძულებული იყო პატარა სიმაგრისათვის შეეფარებინა თავი. კონფუდას საიდ-იდრისის ჯარი ახვევია. შეიჰის მომხრენი თან და თან მრავლდებიან. ჰასედენის ტომი საიდ-იდრისს მიემხრო.

სპარსეთის ამბები

დეპეშები.

თეირანი ამბობენ, სალარ-უდდოულე ბორუჯერიდას ახლოაო. მთავრობამ ბრძანება გასცა, არჩევნებისათვის ემზადენითო.

თავრიზი. მთავრობის ჯარის რაზმი რეშიდ-ულ-მულკის მოთავეობით 12 ივნისს სერაბს ჩამოვიდა. რუსეთის სააგენტოს სიტყვით, სალარ-უდ-დოულე საკიზს ჩასულა და ქურთებში მომხრეებს აგროვებს თურმე.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

14 ივნისი.

ალბანეთის ამბავი.

სტამბოლი. სელიმიესთა,ნ ალბანიაში, სამხედრო სანოვაგის წამლებთ დასცემიან. მთავრობა ეხლა აცხადებს, ჯარის ორი რაზმი გავგზავნეთ იქითკენაო. ხმა დავარდნილა. სელიმიესა და მედუას შუა აუარებელი ალბანელი შეგროვილაო. მთავრობა ამბობს, ტყუილიაო, რადგან მალისორები არ აჯანყებულანო.

დიაკოვო. აჯანყებული ალბანელები ჩერნოგორელებს სიმპატიით ეკიდებიან. ისინი გაიძახიან, მეფე რიზა-ბეის დახმარებას დაჰპირებიაო. აჯანყებულთა მოთავეები დაახლოვებიან პრენკს, რომელმაც იარაღი უნდა მისცეს ალბანელებს. იგი ამბობს თურმე, იარაღს იტალიელები იძლევიანო. ცეტინიეს გაგზავნილმა დელეგატებმა დახმარება ინგლისს უნდა სთხოვონ. ავსტრიის მომხრენი ძალიან ცოტანი აღმოჩენილან. პოლკოვნიკმა ბალიგამკურმა ალბანელებს 800 ლირი გადასცა, ოსმალებმა მოსასყიდად მომცესო.

ავსტრია-ჰუნგრეთი.

ვენა. „ნეიე-ფრაიე-პრესე“ ჩვეულებრივად ცუდად იხსენიებს რუსეთის საქმეებს და დაცინვით ლაპარაკობს იმ მოწოდების გამო, რომელიც მიუწერია ევროპის სახელმწიფოთათვის რუსეთს. მოწოდება რუსინების დევნას შეეხება.

ლვოვი. აქაური გაზეთები ძალიან დიდი ინტერესით მსჯელობენ ფრანც-იოსების მიერ უკრაინელთა კლუბისადმი გრძნობის გამოცხადების გამო. ლაპარაკობენ, ავსტრია-ჰუნგრეთის პოლიტიკა ამიერიდან იცვლებაო.

ვენა. დეპუტატთა პალატამ მიიღო სახელმწიფოს დაცვის კანონპროექტი და ჯარის შესახების კანონპროექტის მეორედ განხილვას შეუდგა.

ინგლისის საზოგადოებათა პალატა.

ლონდონი. გონესმა გრეის ჰკითხა, იმპერიის დაცვის კომიტეტს შეეკითხეთ თუ არა, რამდენად ხელსაყრელია რუსეთ-ინდოეთის რკინის გზაო. გრეიმ განაცხადა, მცოდნე პირებს გამოვკითხეთ, მაგრამ შეუძლებლად მივაჩნია მათი აზრის გამოცხადება სხვა და სხვა მიზეზთა გამოო. საზოგადოდ საკითხი ორად იყოფა—პირველ ნაწილს შეადგენს: საჭიროა თუ არა სპარსეთის იქითა მხრის რკინის გზის გაყვანას ეწინააღმდეგოს ინგლისი. არაო, უპასუხებს გრეი. მეორე საკითხია: რა პირობები უნდა მოსთხოვოს ინგლისმა გზის გამყვანელთა. ესეც ჯერჯერობით გამოურკვევლად უნდა დარჩეს, რადგან გეგმა გზის გაყვანისა ჯერ დაწვრილებით არ არის შემუშავებულიო.

ღია ბარათი

ქუთ. რეალური სასწავ. დირექტორს
ბ-ნს ლეონტიევს.

მ. ხ.

გასულ 1911 წელს თქვენი ოჯახით საგარაკოდ ბრძანდებოდით სოფელ საწირეში. ვინაიდან სხვა შენობა ვერ იშოვეთ, სოფლის სკოლის შენობაში მოთავსდით.

საწირის სოფლის სკოლის შენობა ყოველ წლიწადს ქირავდებოდა ხუთ ექვს თუმნად; აღებული ფულით იფარებოდა წვრილმანი ხარჯი და საჭიროება სასწავლებლისა. ყველა ეს, ბატონო ლეონტიევო, თავის დროზე მოგახსენეთ და საწინააღმდეგო არაფერი გაგიცხადებიათ. 1911 წელს, აგვისტოს დამლევს, თქვენ დასცალეთ სკოლის შენობა და ქუთაისს დაბრუნდით, ანგარიში კი არ გაგისწორებიათ. აგერ ერთი წელიწადი სრულდება მას შემდეგ და ამ ვალის მოგონებასაც არ ფიქრობთ; თქვენ ჩაბარებული გაქვთ ბედი დიდი სასწავლებლისა და მართებულია, რომ ასე უსამართლოდ ეპყრობოდეთ ღარიბ სოფლის პატარა სკოლას?! დაე საზოგადოებამ მსჯავრი დასდოს თქვენს ასეთ საქციელს.

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ცნობა.

ს. საწირე. გ. ბოჭორიშვილი.
(„კოლხიდა“)

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ „სახალხო გაზეთში“ მოათავსოთ შემდეგი: ქ. დორპატის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს ქვემოდ ჩამოთვლილ პირთ, რომლებმაც ორ თებერვალს გამართულ ტრადიციონურ ქართულ საღამოს საპატიო ბილეთების ფასად შემოსწირეს სათვისტომოს: ეპისკ. კირიონმა—10 მან., კნ. მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანმა—10 მან., სათვისტომოს საპატიო წევრმა იაკობ გოგებაშვილმა—10 მან., დიმიტრი ზ. ჰიაბროვმა 10 მან., სათვისტომოს საპატიო წევრმა ექ. რაჟდენ ნანეიშვილმა—15 მან., ექ. ბ. ი. მირიანაშვილმა—10 მან., ექ. ილია პ. გეგელაშვილმა 10 მან., ვექ. გრიგოლ ტიმ. გიორგაძემ—5 მან., მასწ. ამბროსი ბ. მებურიშვილმა 5 მან., ბ-ნ ევს. ივ. ჩიხლაძემ 5 მან., პროფეს. კუდრიავცევმა 3 მან.

განსაკუთრებულის მადლობით სათვისტომოს გამგეობა იხსენიებს ღრმად პატივცემულ კნ. სოფიო ნიკოლოზის ასულს მიქელაძისას, რომელმაც ჩვენი სათვისტომოს ღარიბ წევრთა სასარგებლოდ შემოსწირა 300 მან.

სათვისტომოს გამგეობამ კერძო წერილით ულრმესი მადლობა გამოუცხადა კნ. სოფიოს ასეთ გულუხვ შემოწირულებისათვის და დაადგინა ეს თანხა გადადებულ იქმნას კნ. სოფიოს უდროოდ გარდაცვალებულ ვაჟის სვიმონ მიქელაძის სახსოვარ ფონდად, საიდანაც სათვისტომოს ღარიბ წევრებს სესხად (გრძელვადიანი) მიეცემათ ფული, ამით სათვისტომო ხელს შეუწყობს ღარიბ წევრებს და ამასთანავე უზრუნველ ჰყოფს ფონდის არსებობასაც.

ამასთან ერთად სათვისტომოს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის შემდეგ პირთ, რომლებმაც დორპატის სათვისტომოს ბიბლიოთეკისათვის ბ. აკ. პაპავას გადმოსცეს სხვა და სხვა რუსული და ქართული წიგნები: ბ-ნ მთავრიშვილს, ბ-ნ ვას. ბეჟანიშვილს და ბ-ნ ის. კვიცარიძეს (ქუთაისში). დიდ მადლობას მივუძღვნით ამასთან ერთად ქ-ნ მარიამ პავლეს ასულს მელაძისას, რომელმაც სათვისტომოს სამკითხველოს გაუწერა მთელის წლით საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“, ექ. რაჟდენ ნანეიშვილს, რომელმაც მთელის წლით გამოუწერა იმავე სამკითხველოს გაზ. „კოლხიდა“ და სათვისტომოს წევრს ბ-ნ რომან ანდრონიკაშვილს, რომელმაც სათვისტომოს ავეჯულობას შესძინა კედლის დიდი საათი ღირებული 15 მან.

იურიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარე: **ვ. მ. იმნაძე** მდივანი: **მ. მხეიძე** მოლარე: **წ. გულისაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

• **ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. ხ ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისაკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: საგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 ირგვლივ მოსიარულე, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, **2 ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ **ტფილისში** ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.
კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.
ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.
ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.
ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.
კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.
მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.
კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.
ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.
ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „კავკაზ ი მერკური“ ტელ. 682.

განცხადებანი

ღია წერილი სვიმონ ალავიძეს და მის კომპანიას:

ბატონო სიმონ!

თქვენ და თქვენი კომპანია ჩემზე და ჩემს მახლობლებზე სხვა და სხვა საზიზღარს ჭორებს ავრცელებთ. სიმართლის აღსადგენად გთხოვთ სამედიატორო სამართალში გამომყვეთ და დამტკიცოთ ყოველივე რაც გითქვამთ. ან წინადადებას გაძლევთ საჯაროთ უარჰყოთ თქვენივე ნათქვამი, და მით მომრეცხოთ ის ჩირქი, რომელიც მომცხეთ. ამასთანავე წინადადებას ვაძლევ ჩემს ნაცნობებს ტფილისში, თუ რამე იციან, დამიმტკიცონ, ან ჩემს სახელს ტყუილუბრალოდ ნუ ათრევენ,

(1.5[illegible]) **იასონ ჭოლოკავა.**

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრებსას სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(0—1253—70)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—82)

ექიმი [illegible]

იღებს [illegible] სნეულ. დილის 10—3 საათ. საღამოს 7 ს. ბაქოს ქუჩა [illegible]

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხეში, № 34, ფილიპის ეკლესიის გასწვრივ. [illegible] არის ხელმისაწვდომ ფასებში [illegible] ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მშობიარობისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. [illegible] ძიძებს და მომვლელებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, [illegible] ექიმი მ. გ. (თ. 1037.6) [illegible] კირტუმოვი.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებული 1880 წელს.
(ვორონცოვის ხიდთან პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. **შეხმაურება კონსულტაციურად.**

ე. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგაბაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახიძე: 10—11 ს. სახებისა, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუდლინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. სახებისა, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ვ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბარცუმოვა-მელიქიანი** —2 ს. სახებისა და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ღარიბთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ე. ა. ნავასარდიანი.** (ჭ. 1074.76)

იყიდება ლიმონადის ქარხანა „შვეიცარია“ ნაძალადევში

მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივარ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, ბეჟანაშვილის ქ. № 3, კვათიაშვილს.** (25—4—2—14)

ქალაქის საუქციონო ზალა.

(ველიამინოვის ქ.) მოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად და აგრეთვე შესანახად.** მიღებულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცემლად 20%, ხოლო შენახვის ფასად აიღებს 2%-ს. დილისით 9—3 საათამდე. (25.421.14)

გამოცდილი

მასწავლებელი ქალი [illegible] ამზადებს [illegible] სასწავლებლებისათვის: [illegible] გიმნაზიებისათვის; [illegible] **მიმართეთ:** 1) [illegible] (25—[illegible]—5—[illegible])

თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, 12 სტამბა „შრომა“.